დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 193

5 მარტი 2015 წელი

ქ. დუშეთი

**სოფ. ბულაჩაურში 2014 წელს მომხდარის სტიქიის შედეგად მოსახლეობის ნაკვეთებში მისასვლელი გზების აღსადგენად შეტანილი ქვიშის მოსასწორებლად საჭირო სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია სოფ. ბულაჩაურში 2014 წელს მომხდარის სტიქიის შედეგად მოსახლეობის ნაკვეთებში მისასვლელი გზების აღსადგენად შეტანილი ქვიშის მოსასწორებელი სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სოფ. ბულაჩაურში 2014 წელს მომხდარის სტიქიის შედეგად მოსახლეობის ნაკვეთებში მისასვლელი გზების აღსადგენად შეტანილი ქვიშის მოსასწორებლად საჭირო 60 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 102 ლარი;

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;

საქმისწარმოების სამსახური
234
10 03 2015

678

საქართველო, 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA
+995(346)221989
+995(346)221990
WWW.DUSHETI.ORG.GE
GAMGEOBA@GMAIL.COM

შესყიდული საწვავის მიღება და განაწილება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის , სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (გია ჭონქაძე);

4. საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში ედიშერ საძაგლიშვილს.

5. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3,4 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი /ვ. ჩოხელი/